№ 1 1941 წ. თბილისი, გამომცემლობა „კომუნისტი" ფასი 1 მან.

№1-34

ნიაბუ

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ახალი წელი: — იმედს გაგიმართლებ! ამ საგანძურს ისე მოუვლი, როგორც ჩემი სახელოვანი წინაპრები უვლიდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგის ბრძანება

ჩემი ლაშქარის რაზმელთა მიმართ
ქვეყნდება ჩემგან ესე ბრძანება:
დაწყებულია ევროპის ომი
ჯერ არნახული როგორც ზმანება.

რაც ევროპის ცას ალი გაეკრა
ერთ წელზე მეტი გადის მას უკან.
ბევრ საგულისხმოს ვხედავთ მოვლენებს,
სულ შეიცვალა ევროპის რუკა.

ბრიტანეთის ლომს ვინ კუდში სდევდა,
და ის ეგონა მძლე და მფარველი,
როგორც სარკეზე ნაორთქლი, ისე
ამოიშალა მისი სახელი.

უძლევ ბურჯივით, დგას ჩვენი მხარე;
მტრის თავს დაბნეულს ესხმება რეტი
და რესპუბლიკის თერთმეტის ნაცვლად
კავშირად იქცა მხარე თექვსმეტი.

სხვა მიღწევებიც რით ჩამოვთვალოთ?!
ყოველ ახალ წელს ჩვენი ერები
ვარსკვლავის სხივქვეშ ითენებს შვებით,
შრომით, ხალისით და სიმღერებით.

და ეს სიმტკიცის ნაყოფი ცხადი
უფრო გვარწმუნებს, უფრო გვავალებს,
რომ კიდევ მეტად ვიკრებდეთ, ვწვრთნიდეთ,
რომ უფრო მეტად ვიზრდიდეთ ძალებს.

ჩვენი ქვეყნის მცველ სიმაგრეთ ჯაჭვში
სატირის ფრონტიც ერთი რგოლია.
ჩემს კბილებს, ხახას მტერი ვერაგი
მრავლად ჩაუნთქავს, ჩაუქოლია.

ეხლაც მზად ვიყოთ მუსრის სავლებლად,
განვგმიროთ მტერი შიგნით თუ გარეთ,
მოყვარეს მივცეთ ხალისი, შვება
და მტერს მოვგვაროთ ცრემლები მწარე.

სმენა!
მზად იყოს მხედრობა ჩემი,
დარაზმდნენ ჩემი ნიანგკორები
და ყოველ მხარეს, მტერს თავს დაესხან,
როგორც წიწილებს მარდი ქორები.

მიგზავნეთ ძღვენი ახალ-ახალი
უხვად, ყოველთვის, ხსნილში, მარხვაში
არ გაზარალებთ, ერთად, გინდ ცალკე
გადაუძახებ ხელად ხახაში.

ახლაც კი მახსოვს ისეთ საკბილოს
მაძლევდა ძველად ქედა და ხულო.
რომ, როცა ვჭვრეტდი, ჩემთვის ვამბობდი:
„რაღას ღონდები, გაცოცხლდი, გულო!“.

ამაგის ნიშნად ახლაც მოვუხმობ
ჩემს ნიანგკორებს **ჰუსეინს, ქედელს.**
რომ მომავალშიც ჩემს მძლე ლაშქართან
კვლავ აგრძელებდნენ კავშირს უწყვეტელს.

ბათუმს გუშაგობს **პარმენ ობოლი,**
მან უნდა ჩემს წინ პასუხი აგოს,—
ეს საგუშაგოც თუ დაგვიობლა,
თუ კვანტი უქნა ამ საგუშაგოს.

სოხუმში დარჩეს ჩვენი **ისელი**
(რაკი შეიტკბო შავი ზღვის ჰავა)
მე უხვად მახსოვს იმისგან ძღვენი,
ნურცა მომაკლებს საკბილოს კვლავაც.

გაგრა—გუდაუთს არ ვიზარალებ,
არც იქ დავტოვებ ორგულებს ლაღად
ისელთან ერთად ამ საგუშაგოს
უფროსად დარჩეს კვლავ **სიმონ-აღა.**

ფოთს, ცხაკაიას, ზუგდიდს, ოჩამჩირს
ვანდობ **ცისკარელს, მიტრო გოგიას.**
ძღვენის ნორმას რომ უკლეს ბოლო დროს,—
ეს მათი ქცევა დასაგმობია.

ქუთათურ ძღვენის დამზადებაში
ნიანგელებო, თქვენც იცით ალბად,
რომ ჩვენმა **გენომ** ამ ბოლო ხანში
ყველა გუშაგებს გადააჭარბა.

პიტნას,
კოსტაიდს,
ჭანგელ ბზიკს, კვიმატს,
ვურჩევ მიბაძონ ქუთათურ გენოს,
ცხელ-ცხელ, მსუქანი საკბილოების
კვლავ გამახსენონ სუნი და გემო,

რაკი **ტევრელი** „ჩაყლაპა მიწამ“,
დარჩა ნიანგელთ ბანაკს იქიდან
დე, ზესტაფონსაც მიეპატრონოს
ხარაგოულის შეფი **კირკიტა.**

აბაშას ფლობდეს აწ და მარადის
რაიონითურთ **ქარბუქი** მარდი,
ჩხარს—**მუხურელი**
თუზელს ვავალებ,
შემატყობინოს მსწრაფლ მისამართი.

გორს და სტალინირს ვაკუთვნებ **კაკოს,**
გურჯაანს, თელავს—**არღუთელს, საშას**
ვინც უმსუქნეს ძღვენს გამომიგზავნის,
იმას ვარგუნებ ქებას და ვაშას.

სმენა!
მზად იყოს მხედრობა ჩემი,
დარაზმდნენ ჩემი ნიანგკორები,
და ყოველ მხარეს, მტერს თავს დაესხით
როგორც წიწილებს მარდი ქორები.

ნიანგი

საახალწლო ბატი

ფილოსოფოსხი შემოკრბნენ ამაზე ჰქონდათ ცილობა: ცოცხალი ბატის ყიდვა სჯობია საახალწლოთ თუ დაკლულისა. ქალები დაკლულს უჭერდნენ მხარს.

— ჯერ ერთი, — მოკაკვა ჩამანიკურებული თითი ელენმა,—დაკლულ ბატს დაკვლა არ სჭირდება, მეორეც — გაპუტვა და გამოშიგნვა არ უნდა და მესამე — როცა ყიდულობ ხედავ — მსუქანია თუ მჭლე.

ელენმა მართლაც დამაჯერებელი არგუმენტები წამოაყენა და ის იყო ოჯახი უნდა დასთანხმებოდა კიდეც, როცა პატივცემულმა სიძემ ჯორჯმა აიღო სიტყვა.

— ცოცხალ ბატს დიდი უპირატესობა აქვს: ჯერ ერთი—ცოცხალი უფრო იაფი ვიდრე დაკლული, მეორეც — ცოცხალის ყიდვა შეიძლება რამდენიმე დღით ადრე და მაშასადამე ახალწლამდე გასუქდება კიდეც და მესამე...

— მესამე ის, რომ ელენს მანიკური გაუფუჭდება — ბატის გაპუტვისას,—დაუმატა უმცროსმა დამ ბეტიმ.

— ა, მაშასადამე ელენს შრომის ეშინია, — გაკილვით შენიშნა ჯორჯმა.—თავზე ყუმბარები გვაცვივა, ლონდონი ნანგრევებად იქცევა და თქვენი ქალბატონი ბატის გაპუტვასაც არ კადრულობს.

ეს კი ვერ მოითმინა დედამ. მისი ელენის ქმარი, რაღაც უცნაური კილოთი ლაპარაკობდა. ინგლისელს, რომელიც თვითონაც მუდამ ინდოურივით გაბღვერილი უნდა იყოს, ასეთ მძიმე პირობებში არ შეშვენის ცოლის გაკილვა.

— რაო,, ყუმბარები სცვივაო? განა ყუმბარას შეუძლია შეგვაცვლევინოს ჩვენი ჩვევები.

— შეუძლია, — დაჯინებით უპასუხა ჯორჯმა.

— მაშ ბატს ვერ ვსჭამთ საახალწლოთ?

— საშობაოთ ვერ სჭამეთ და საახალწლოთ როგორ, სჭამთ.

— საშობაოთ მეტროში ვისხედით.

— ახლაც მეტროში არა ვართ...

მართლაც ამ პატივცემულ ოჯახის თათბირი მეტროში მიმდინარეობდა. გაბღვერილი ინგლისელები მიწაზე დაფენილი ლებებზე ისხდნენ და საბანწამოხურულები ქაჯებს უფრო გავდნენ, ვიდრე თავმომწონე ლონდონელებსა.

— ჯორჯი რომ ვაჟკაცი იყოს, საბანში კი არ იქნებოდა გახვეული... — უკბინა ცოლმა, — ახლა თვითმფრინავზე იქნებოდა და ლონდონთან არცერთ გერმანელს არ მოუშვებდა.

ოჯახის მამა, რომელსაც არც ახლა ემტყუნა ტრადიციისათვის, ჩამოეტანა მეტროს გვირაბში მამაპაპური სავარძელი და შოკოლადს ღოხნიდა ბებერი ხარივით. არ მოეწონა ქალიშვილის სიტყვები.

— ჯორჯი მფრინავი არ არის, არმიაშიც არ წავა. ეს თე 1000 სტერლინგი დამიჯდა, ჩვენი მაღაზია კიდევ არ დაუნგრევიათ, მას პატრონი სჭირდება.

— როგორც ყოველთვის, მამა მართალია, — დაემოწმა სიძე.

ბეტი მოუთმენლად ელოდა დავის გათავებას.

— მაინც რას ვყიდულობთ: ცოცხალს თუ დაკლულ ბატს?

— დაკლულს, — გულდამშვიდებით განაცხადა მჭმამ. — ვინ იცის ახალ წელს სად გავატარებთ. იქნებ ბატის შესაძლებლობაც არ გვექნეს.

ეს გადაწყვეტილება მარტინის ოჯახმა კვირა ღამეს მიიღო. ორშაბათს ბომბარდირება შეწყვეტილა. სამშაბათს აგრეთვე ბატების მაგიერ ბომბები სცვიოდა ლონდონში. ახალი წელიც მოვიდა და მარტინის ოჯახი კვლავ მეტროს გვირაბში იჯდა.

— ელენ, ცოცხალი ბატი ვიყიდოთ, თუ დაკლული?—გაეხუმრა ჯორჯი ცოლს. მაგრამ ელენი ხუმრობის ხასიათზე არ იყო. ამ სამ დღეში ბევრი რამ მოხდა. მაღაზია ცეცხლმა შთანთქა, მისი საყვარელი დოგი ყუმბარამ განგმირა, ხოლო საახალწლო ბატის მაგიერ ხელთ გამხმარი გალეტი ეჭირა და გახუნებულ მანიკურიან თითებს ცრემლები ასველებდა.

გრ. ბათოღმელი

---

x) „ნიანგის" ამწლის უკანასკნელ ნომრისათვის მხიარული მოთხრობის დაწერა მინდოდა, როგორც ვხედავ, არ გამოვიდა.

ვ. ბ.

ნახ. თოიძისა

შეიგნეს

1.—მე თქვენი მაკვირვებს!—თქვა მომხსენებელმა,—ყოველი მოკამათის ყოველგვარ სისულელეს ტაშს უკრავთ!.,.

2.—და ჯერ წინადადება არ ჰქონდა დამთავრებული, რომ დარბაზი ტაშის გრიალმა დაფარა

პაპარა მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეურაცხყოფა“

ქარხნის საკომენდატოში სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა.

— მეგობარო!—მიმართა მან კომენდანტს და უბის ჯიბისაკენ ხელი წაიღო.

კომენდანტმა, რომელიც გართული იყო რომანის კითხვაში, ყურადღება ვერ მიაქცია:

— მეგობარო, იყავით მოსულთან ზრდილობიანი, რომ ისიც ზრდილობიანი იყოს თქვენთან!—ცოტა არ იყოს ნაწყენი კილოთი დაამატა ახალგაზრდამ.

კომენდანტმა გაიღიმა, სათანადო ბოდიში მოიხადა და ახალგაზრდას მიმართა:

— რა საჭიროა კაცის ბარომეტრად გადაქცევა, ჩემი ზრდილობა არასოდეს არ ყოფილა სხვის უზრდელობაზე დამოკიდებული... რა გნებავდათ!

ახალგაზრდამ არ ვიცი გაიგო თუ არა კომენდანტის პასუხი. გაბრაზებით კი საყოფად გაბრაზდა და მკვახედ მიუგო:

— წარმოების დირექტორი მნებავდა!

— რა საქმეზე?

— საქმეს მას მოვახსენებთ, თქვენ, სულერთია, ვერ მიხვდებით.

— ვერ გაგიშვებთ!—მკვახეზე მკვახე ესროლა კომენდანტმა.

— ეს უკანონობაა!—კინაღამ აცრემლდა ახალგაზრდა.

— იჩივლეთ!—არ დააყოვნა კომენდანტმა.

კარგა ხანს იდავეს. ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ ახალგაზრდას უფლება ენიჭებოდა ტელეფონით დაერეკა დირექტორისათვის. სცადა სტუმარმა, არ გამოუვიდა: დირექტორი არ აღმოჩნდა კაბინეტში. და ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდა შეურაცხყოფილი, რომ საკომენდანტოში დირექტორი შემოვიდა.

— ეს არის!—მიუთითა ახალგაზრდას კომენდანტმა.

— რა უკანონობაა ამხ. დირექტორო!.. რას გავს! ფრიად სასწრაფო, სასარგებლო და აუცილებელ საქმეზე ვარ მოსული. სულ ხუთმეტი წუთით... წარმოება მინდა დავათვალიერო... ხუთმეტი წუთი! რა მოხდება!...

— რატომ გაინტერესებთ ჩვენი წარმოება?..—იკითხა დირექტორმა.

— როგორ თუ რატომ!—გამოცოცხლდა ახალგაზრდა.—მე მწერალი ვარ, ჟურნალისტი, პოეტი, დრამატურგი... ხვალ ხელშეკრულების თანახმად ნარკვევების წიგნი მინდა ჩავაბარო გამომცემლობას თქვენი წარმოების შესახებ...

ახალგაზრდა წარმოებაში არ შეუშვეს.

გ აუღებელი

სკოლის ბიბლიოთეკაში რამოდენიმე მოწაფეს მოეყარა თავი.

— ვეფხის ტყაოსანი!—ამბობდა ერთი,— იცით ბიჭებო, მე უკვე წავიკითხე ვეფხის ტყაოსანი. ძნელი გასაგებია, მამამ ამიხსნა... თქვენ არ წაგიკითხავთ?

ზოგმა დაუდასტურა, ,ერთმა უარი თქვა.

— რატომ მერე!—თითქო დანაშაულში გამოტეხაო, ისე გაკვირვებით შეხედა ბავშვმა.

— არა მაქვს ეგ წიგნი და იმიტომ.

— რატომ მერე?!—კვლავ გაუმეორა კითხვა ბავშვმა.

— ვერ ვიყიდე და იმიტომ...

— ბიჭებო, აი ჩარლზ დიკენსის დავით კოპერფილდი, წაგიკითხავთ?

— არა!—ერთხმად წამოიძახეს ყველამ.

მოსწყინდა ბავშვს ამდენი „რატომ მერე“ და ხმა აღარ ამოუღია.

ბიბლიოთეკაში საქმის მწარმოებელი, იგივე ბიბლიოთეკის გამგე შემოვიდა.

— ძია ვასო, მოგვეცი რა, დავით კოპერფილდი.

— არ შეიძლება!

— რატომ?

— გაუგებარია თქვენთვის, ჯერ პატარები ხართ.

— მე მამა ამიხსნის რაც გაუგებარია, — „აღმოაჩინა“ ერთმა.

— ახლა მამა შეაწუხე მაგისათვის. გაიზრდები და თვითონ გაიგებ, რა გეჩქარება.— უპასუხა საქმის მწარმოებელმა.

ამ დროს ბიბლიოთეკაში სკოლის დირექტორი შემობრძანდა. ჯერ მედიდურად ,შემდეგ მზრუნველის თვალით გადახედა იქაურობას, ,ბავშვების მიერ ნათხოვნ წიგნების შკაფთან მივიდა, შკაფის გარშემო დიდხანს ეძება თუნუქის ნომერი და რომ ვერ აღმოაჩინა—საქმის მწარმოებელს ჰკითხა:

— ეს რომელი შკაფია?

— ეს,—გაიღიმა საქმის მწარმოებლმა,— ჰე—ჰე—ჰე... ეს ის შკაფია...ჰე—ჰე—ჰე... მე და თქვენ რომ შარშან კოჯორში ვიყავით და... გასაღები რომ დაგვეკარგა... ჰე—ჰე—ჰე...

— გაუგებელი კი არა, გაუღებელი ყოფილა, ძია ვასო!—დაამთავრა ერთმა მოწაფემ.

მოტყუვდა

კლუბის გამგე სარდიონ ლეხურელი ერთ გაწამაწიას მიეცა. თავის დღეში რომ არ უქნია ის გააკეთა: წრეების ხელმძღვანელებს დაუძახა და შეახურა:.

— რას გავს ეს, წელიწადი გადის და ჯერ სკეტჩი მზად არ არის... შენ რაღაო, ექვსი თვეა „თებრონე მიდის წყალზედას“ გაიძახი, რითი ვერ მივიდა წყალზე ეგ შენი თებრონე... მოგხსნით სუყველას... თქვენ გულისთვის თავს შევირცხვენ თუ?..

გაჩაღდა მუშაობა.

სარდიონი ერთ ნაცნობს მიადგა:

— შენ, ბიძია, რატომ გაურბიხარ საზოგადოებრივ დატვირთვას?

— არ გაურბივარ!...—უთხრა ნაცნობმა და გაკვირვებით გადახედა სარდიონს.

— აბა მაშ ლოზუნგები დამიწერე ნარმაზე...

სარდიონი ერთ ნაცნობ ჟურნალისტს დაეტაკა:

— შენ, ბიძია, რატომ დახმარებას არ უწევ ძირეულ პრესას?

— როგორ არ ვუწევ!...

— აბა, მაშ წამოდი და კედლის გაზეთი გამიკეთე...

შეიქნა გაწამაწია. სამ დღეში შენობა კლუბად გადაიქცა.

კლუბში მოსულს კავშირის თავმჯდომარეს სარდიონი ეუბნებოდა:

— კარგად არის საქმე... კლუბების დათვალიერება... სამი ათასი მანეთი ჯილდო საუკეთესო კლუბის გამგეს...

— შენ რა მერე!—ცივი წყალი დაუსხა კავშირის თავმჯდომარემ,—ეგ კონკურსი ხომ ჩვენი სისტემის კლუბებს არ ეხება.

სარდიონმა ყურები ჩამოყარა და ამოიკვნესა:

— მაშ ტყუილა მეზარალა ამდენი წვალება?...

გია.

ხარისხის იმედით

ნახ. ლებეშევისა



— დავიღუპეთ, კაცო, შენ რომ გუშინ მელანი მოიტანე, წელან ბავშვმა დალია სულმთლად!

— მერე მაგაზე რა გაღელვებს, „ქიმმრეწვის“ მელანი იყო...

უხვი მასპინძელი

6 საათი იყო, როცა ილიკო სახლში დაბრუნდა. უგუნებოდ იყო. სახლის კარები რომ შეაღო, სოფლიდან ჩამოსული თავისი ნათლიისშვილი დაინახა.

— მაგასაც შეურჩევია სტუმრობის დრო,—ალბად უნდა მთხოვოს რამე,—გაუელვა გუნებაში. სტუმარს ჩამოსვლის მიზეზიც კი არ ჰკითხა, ისე გასწია სამზარეულოსაკენ.

სამზარეულოში მისი ცოლი მწარო რაღაცას ფუსფუსებდა.

— რას ჩხიკინობ მანდ? ამდენხანს ორი საინი სადილი ვერ გამზადე? მომიტანე მაგი ლობიო, ისევ მალე უნდა წავიდე.

— რა გაბუზღუნებს?—იწყინა ცოლმა.—რა ლობიო, რის ლობიო? საცივი მაქვს მშვენიერი, ღორის შაშხი, ზეგისთვის, საახალწლოდ გოჭი და კუპატები, ერთი ტიკი მშვენიერი ღვინო, ჩურჩხელები და მანდარინები!

— რაო! რაო? ვაი შენ კი გენაცვალე მაგ მარიფათიან ხელებში ჩემო მშვენიერო, კარგად მოგიხერხებია,—სიხარულით შეყვირა ილიკომ ცოლს.

— მე კი არ მოვახერხე, შენმა ნათლიისშვილმა ჩამოგვიტანა, თურმე წელს მაგათი კოლმეურნეობა მილიონერი გამხდარა, ისე კარგად ცხოვრობენ, რომ... ეხლა ეს ძღვენი ჩამოგვიტანა და თან სახლშიც გვეპატიჟება ამ ზაფხულისათვის.—განუმარტა მარომ.

ილიკო ცმუკვით გამოვარდა სამზარეულოდან და სტუმრისაკენ გაქანდა.

— სხვა როგორ გიკითხოთ ჩემო სიპიტო, ბიჭო, ასე უნდა? ასე უნდა დაივიწყო კაცო, მამიშენის ნათლული? სახლში როგორ ხართ, ცოლი, შვილები! ნათლია ჩემი როგორაა? როგორ იმგზავრე გზაში?—მიაყარა სეტყვასავით ილიკომ—შენ გენაცვალე შენ, როგორ გამახარე შენი ჩამოსვლით.

— არა გვიშავს რა; კარგად ვართ ჯერჯერობით! თქვენ ხომ კარგად ილიკო?—შეეკითხა სტუმარი.

— არა მიშავს მეც, ჩემო სიპიტო! წარმოიდგინე რა არის წინაგრძნობა: გუშინღამ ნათლიაჩემი დამესიზმრა, ვითომ ერთად ვიჯექით მისას და ვქეიფობდით და, უყურე, ქე არ ჩამოდი შენც?... უჰ! შენ გენაცვალე, ჩემო სიპიტო! გავიგე შეძლებულად ცხოვრობთ თურმე, თავზე საყარი გქონიათ ყველაფერი და რა გიჭირს, ასე რომ მესტუმრო თვეში ერთხელ ორიოდე დღით, მეც გამახარებ და შენს გულსაც! ამაღამ კინოში წაგიყვან, თუ კაცი ვარ; ბილეთებს მე ვიყიდი.

— ნუ წუხდები ილიკო, ამაღამ ისევ უკან უნდა გავბრუნდე, აქ ცოტაოდენი საქმე მქონდა კოლმეურნეობიდან დავალებული, ის მოვილიე და ამ საღამოს გავსწევ! კინო ჩვენს სოფელშიცაა.—განუმარტა სიპიტომ.

— უჰ! შე კაცო! ამაღამ რა დროს წასვლაა! მატარებლის წასვლამდე მაინც მოვასწრებთ კინოს ნახვას. ისე რავა გაგიშვებდი საახალწლოდ, საქმეზე ყოფილხარ ჩამოსული თვარა! მარო! მარო! მოგვიტა სასწრაფოდ ცოტა რამ შევჭამოთ! სიპიტოს დააგვიანდება მატარებელზე და ცოდვაში ჩავარდები, კინო დაიწყება მალე!

ხუთი წუთის შემდეგ კინოს კარებთან იდგნენ ორივენი, მაგრამ სიპიტო კინოში აღარ შეყვა მასპინძელს. ილიკო [illegible] შეეპატიჟა, შემდეგ კი—ახლად ჩამომდგარ ტრამვაის ვაგონზე მიუთითა სიპიტოს და უთხრა:

— აბა ქე მაინც მატარებელზე არ დაგაგვიანდეს სიპიტო, ჩაჯექი მალე.

ხელი ჩამოართვა—სტუმარს და თან მიაძახა.

— მალე მენახო სიპიტო, ჩემსას, მოკითხვა სახლში ყველას!

დონ—კედრო.

საახალწლო

(მიბაძვა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ამ წელს და კიდევ მრავალ
ახალ-ახალ წლებს შევხვდებით,
სანამ დავლევთ საახალწლოს
წარსულ წელზე შევჩერდებით.

მოვიგონებ,—როგორ შევხვდით
ერთ წლის წინათ აქ ახალ წელს,
ჩვენს იმედებს გამოვთქვამდით —
საბჭოეთი რას არ დასძლევს.

გვქონდა ცეკვა და სიმღერით
გავისტუმრეთ ძველი წელი
და ახლისთვის დავისახეთ
საქმე უფრო მძიმე,—ძნელი.

ჩვენ ეს წელიც გავიარეთ
და ვუწოდებთ ძველს მას ახლა,
თუმცა ბევრჯერ მან სიახლით
გული ჩვენი გაახარა.—

აი, ახლაც ჩვენ ერთად ვართ,—
რა არ მოგვაქვს წარსულ წლიდან.
მე პოეტი, შენ ექიმი
გამოვსულვართ ჩვენი წრიდან.,

და ამათ კი, ამ ორ ჩვენს გმირს
ამშვენებენ ორდენები,—
ცაში ხშირად ნავარდობენ
სტალინური რკინის ფრთებით.

მაშ, დავლიოთ, მეგობრებო,
გავაცილოთ ძველი წელი
შევხვდეთ ახალს, ვით გვჩვევია,
ავისრულოთ საწადელი.

ჟიშ—დი.

„სტრიუკის“ ბრალია

ბნელი ღამეა, მივალ ქუჩაში,
და წინ შემომხვდა, ვხედავ, — კაცია.
— გამარჯობათქვა, — შევსძახე უცებ
და მანაც თავი მაღლა ასწია...

მივუახლოვდი, ისიც შეჩერდა,
გადავეხვიე და გადავკოცნე,
თმაშეპარსული ბიძა მეგონა, —
თურმე ქალია და... უცებ ვსცოცხე.

იმასაც თურმე ბიძა ვეგონე, —
არ ეუცხოვა ეს ქცევა ჩემი, —
მაგრამ როდესაც ის დამაკვირდა
შემიტია და მიცვალა ფერი.

იგი ყვიროდა, მე კი — გავრბოდი,
გაფითრებული, როგორც ბაია,
ბოლოს შევდექი და მივაძახე:
— „სტრიუკის“ ბრალია ჩემო დაია!

ვ. ბ.

მიუხვდა

— შენ გეტყობა, რიგიან ოჯახებში ალარ გიშვებენ.
— რაზე მატყობ?
— ასე, რომ არ იყოს, მე რომ შენი ამბავი ვიცი, ამ დაგლეჯილ პალტოს დიდი ხანია ახალში გადაცვლიდი.

კრიტიკოსი და პოეტი

(უძველესი, ჩინური, თქმულება)

ერთხელ ერთურთს წაედავენ
კრიტიკოსი და პოეტი.
(კრიტიკოსებს, ყველამ იცის
ხელთ უჭირავთ მუდამ კეტი).
კრიტიკოსმა უთხრა პოეტს:
—„ყური უგდე ჩემს სიტყვებსო,
თორემ იმ შენს საწყალ მუზას
ჩავულეწავ მთელ ნეკნებსო“.
აქ პოეტი გაგულისდა,
მან „ქოშები უკუ ჰყარა“.
ვით შეშვენის ოლიმპიელს,
იტრაბახა, იმკვეხარა:
—„მე ციური მადლით ცხებულს
თავს მიტოლებ ვიღაც მწერი!
შენ ვინა ხარ?—ჩემს ტაეპებს
იმეორებს მთელი ერი.
თუ სალამი გინდა მოგცე,
არ გაბედო განქიქება,
თავი მდაბლად დამიკარი,
სწერე მუდამ ჩემი ქება“.
კრიტიკოსი აფუცხუნდა,
აიმაღლა იმან ტონი:
—„შენ მიწასთან გაგასწორებს
ჩემი ერთი ტელეფონი,
გამოფიტულ შენს ლექსებში,
არის სიტყვის რახა-რუხი,
ხან ყვავივით აჩხავლდები,
ხან წუწუნებ, როგორც კრუხი“.
ეს მგოსანმა კვლავ იწყინა,
წინ წამოდგა, თავი იქო:
—„მე თუ საზრდო არ მრგეცი
ნეტა მაშინ რაღას იქო?
ჩემს ჭირნახულს უთვალთვალებ,
მე კი მტრულად მჭოლავ ქვითო
მე რომ ლექსი არ დავწერო
იარსებებ ნეტა რითო?...
გრძელდებოდა ლანძღვა—თრეკვა,
ტრიალებდნენ ვითა ჯარა...
მათ მაგიერ მკითხველს შერცხვა,
შეუმჩნევლად გაიპარა. **მაღალ-მაღალი.**

მხიარული გამოგონებანი

თაგვის მახე

ჩვენს საყვარელ მკითხველებს, განსაკუთრებით ქალებს, შეიძლება ახსოვთ, რომ მე ჯერ კიდევ რამდენიმე ნომრის წინად შევპირდი მათ სხვადასხვა საინტერესო გამოგონებას—როგორიცაა მაღალყელიანი ბოტები, სიყვარული და ა. შ.

დიდი ბოდიში, რომ დღემდე ვერ შევასრულე ეს დაპირება, მაგრამ მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს დიდად ვიყავი დატვირთული ერთი ფრიად საინტერესო წამოწყებით. მე გმუშაობდი თაგვის მახის, ეგრეთწოდებული სათაგურის, გაუმჯობესების საკითხზე. მოგეხსენებათ ჩვენი ზოგიერთი არტელის მიერ დამზადებული სათაგური თაგვის ყოველი დაჭერის დროს უსიამოვნოდ ჩხაკუნობს, და რაც მთავარია, მაშინვე იღება მისი კარები. ამის შედეგად კი თაგვი არხეინად შეექცევა მახეში გამზადებულ ნამცეცებს და უკანვე გამოდის. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სათაგურის კარები დაკეტილი რჩება და თაგვს ნამდვილად იჭერს. ასეთ დროს ისმის მომწყვდეული თაგვის არასიმპატიური წრუწუნი, რაც იმის შედეგია, რომ, ალბად, თაგვი არავითარ სიამოვნებას არ განიცდის ხაფანგში.

ჩემი გამოგონება ერთი დაკვრით სპობს აღნიშნული ხაფანგის ამ ტექნიკურ ნაკლს.

საჭიროა ხაფანგში წინასწარ დავამწყვდიოთ კატა.

დავინახავთ, რომ როგორც კი თაგვი შევა ხაფანგში—კატა დაუყოვნებლივ დაეძგერება. იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთი თაგვი ყალთაბანდობას გასწევს და არ მოისურვებს კატიან ხაფანგში შესვლას, მაშინ უნდა მოვიქცეთ პირიქით: ხაფანგში დავამწყვდევთ პირადად თაგვს, ხოლო შემდეგ შიგ შევუშვებთ კატას.

სიყვარული

მაშ ასე. გადავდივართ დაპირების შესრულებაზე. უნდა გამოვტყდეთ, უებარი წამალი გამოვიგონეთ სიყვარულის ირგვლივ. მადლობა უფალს. ეშველება შეყვარებულებს. ისეთი წამალი გამოვიგონე, რომ ყველაზე მიუწვდომელ სატრფოსაც კი სულ „ვაი დედაიას“ აძახებინებს. წამლის შინაარსი ასეთია: აიღებთ აქლემის კანჭს და მისგან გაკეთებთ ფილთაქვას. შემდეგ აღნიშნულ ფილთაქვით დანაყავთ იმ პოეტის ლექსებს, რომლებსაც ბევრი წყალი აქვს, მიღებულ სითხეს ცალკე შუშაში ჩაასხამთ და თავს მაგრა დაუცობთ.

ამ უცნაურ სითხეს დღეში სამჯერ სუფრის კოვზით თქვენც დალევთ და მიართმევთ თქვენი ტრფობის ობიექტს, რომელსაც თქვენს მაგივრად რატომღაც სხვა უყვარს.

მკითხველი, ალბად ბუნდოვნად მაინც წარმოიდგენს, თუ რა მუდრეგი დასალევი იქნება აღნიშნული სითხე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება აღნიშნული სითხე ისევ შუშაში დასტოვოთ და დაუცადოთ, ეგების თავის ნებით გმთანაგრძნოთ **შეყვარებულმა.**

ორი შეხვედრა აფრიდონთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ვაგზლის ბუფეტში მარტოდ ვიჯექი და ველოდებოდი ბაქო-ბათუმის მატარებელს. რადიომ გვაცნობა — მატარებელი ერთი საათით იგვიანებსო, ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ძე იმდღეინდელი გაზეთები უკვე გადავათვალიერე და თავის გასართობი სხვა აღარაფერი მქოხდა. მოგეხსენებათ რარიგად ძოსაწყენია მატარებლის ლოდინი, განსაკუთრებით როცა მარტო ხარ. აძიტომ იყო, რომ თუმცა ჯერ კიდევ არ მშიოდა, მაინც ოფიციანტს დავუძახე და ვთხოვე მოეტანა ერთი ბოთლი კახური, თავის საუზმით.

უცებ დარბაზში შემოვიდა ჩემი ძველი მეგობარი აფრიდონ.

— გამარჯობა გაიოზ, სწორედ გამიხარდა შენი ნახვა.

— გაგიმარჯოს აფრიდონ, მეც ძლიერ მესიამოვნა შენი შეხვედრა. დაბრძანდი!

მეგობარი დაჯდა. ამხედ-დამხედა.

— გასუქებულხარ გაიოზ! გეტყობა გიხდება კეთილი ცხოვრება!

ამ დროს ოფიციანტმა მოიტანა ღვინო და საუზმე. მე ღვინო ჭიქებში დავასხი და ჩემი მხრით გავეხუმრე:

— მაშ, უნდა დაიმშვენო კაცმა სიკეთე! შენ კი, რაც გინდა პატივისცემაში იყო, მაინც ასე ტარანივით ხარ!

— ეს, ნაწილობრივ, მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამჟამად არა ვარ, მაინცდამაინც, დიდ პატივისცემაში. ჩვენი დაწესებულების რეორგანიზაცია მოხდა. ამასთან დაკავშირებით, ისეთ თანამდებობაზე გადამისროლეს, რომ არ მომეწონა, ავიღე და მივანებე თავი. ვფიქრობდი უკეთეს ადგილას მოვეწყობი მეთქი, მაგრამ, წარმოიდგინე, მესამე თვეა უადგილოდ ვარ.

— მე ვფიქრობ კარგად არ ცდილხარ, თორემ, ამდენხანს, სამსახურს როგორ ვერ იშოვნიდი.

— ახლა, მართალი თუ გინდა, სამსახური ერთი კი არა, ათიც შემაძლიეს, მაგრამ არც ერთი არ დამიჯდა. ან კი როგორ უნდა იშოვნო კაცმა რიგიანი ადგილი, როცა ჩვენი სპეციალობის ხალხი ძლიერ ბევრია, მეორეც — ერთ კაცს, ხშირად — სამი თანამდებობა უჭირავს. მე რომ მკითხოს კაცმა, იმაზე უფრო დიდი ბოროტება არაფერია, როცა კაცი ასეთ გაუმაძღრობას იჩენს. აბა როგორ შეიძლება, თუ კი წესიერად იმუშავებს კაცი, სამი თანამდებობა შეითავსოს. მაგრამ საქმე იმათ არ აინტერესებთ, ისინი მხოლოდ ფულებით არიან გატაცებულნი.

— სრული ჭეშმარიტებაა, — დავეთანხმე მე, — ამის შესახებ ჩვენს პრესაშიც ბევრჯერ ყოფილა საკითხი დასმული, სათანადო ორგანოებიც ებრძვიან ამ გარემოებას.

— ეჰ, ვიცი რომ ებრძვიან ,მაგრამ როდის აღმოიფხვრება ვინ იცის... პროტექციებსაც ებრძვიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აი ამ საპროტექციო ბარათმა უნდა მიშველოს. თან ჯიბიდან ბარათი ამოიღო და წამიკითხა; ბარათი ასე მთავრდებოდა:

„ძლიერ დამავალებთ, თუ რაიმე შესაფერ ადგილს აღმოუჩენთ. ცოლ-შვილიანი კაცია და მესამე თვეა უსამსახუროდ არის“.

— ასეთ პროტექციაში მე ცუდს არაფერს ვხედავ. — განვაცხადე მე.

— არც არის რაიმე ცუდი, პირიქით მე მგონია სამართლიანია, მე ხომ მოწყალებას არ ვთხოულობ მე მინდა სამუშაო. მაგრამ აქ ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ეს ბარათი მე არ უნდა მჭირდებოდეს.

— შეიძლება არც დაგჭირდებოდა, სცადეთ განა უპროტექციოთ და უარი გითხრეს?

— არა მე არ მიცდია, მაგრამ ვიცი უპროტექციოდ არაფერი გამოვიდოდა, რადგან თანამდებობა რომელსაც მე ვემიზნები მართლა თავისუფალი კი არ არის, იგი შეთავსებით უჭირავს ერემია გლეჯიაშვილს.

ამის შემდეგ ერთი წელი გავიდა და მე ისევ შევხვდი ჩემს მეგობარ აფრიდონს. ეს მოხდა ქობულეთში. მე ის იყო დავბინავდი სასტუმროში, ხელპირი დავიბანე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და წავედი სასადილოთ რესტორან „პავილიონში“. რესტორანში, რომ შევედი გადავხედე და თავისუფალი მაგრდა რომ ვერსად შევნიშნე, უკანვე დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ უცებ შემომესმა:

— გაიოზ, გაიოზ! მობრძანდით აქეთ!

დავინახე მეპატიჟებოდა ჩასუქებული, ჭაღარაშერთული, ქერა კაცი, პირველად ვერ მოვისაზრე ვინ იყო, მაგრამ რომ დავაკვირდი ვიცანი ჩემი მეგობარი აფრიდონ.

— გამარჯობა აფრიდონ! ძლივს გიცანი, როგორ გასუქებულხარ, ნამდვილ ბურჟუას დამსგავსებიხარ!—სიცილით მივმართე მე.

— კი, ცოტა შევსუქდი! ხომ მოგეხსენება კეთილი ცხოვრება უხდება კაცს. ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა, ეხლავე ჩემი ცოლიც მოვა და ერთად ვისადილოთ.

— რასა იქ აფრიდონ, სადა ხარ კაცო, ერთი წელიწადია ვეღარ შეგხვდი, ვერც თეატრში გნახე, ვერც ქუჩაში, თბილისში ხომ ხარ?

— ეჰ, ნუღარ მკითხავ თუ ძმა ხარ! ისე ვარ დატვირთული, რომ თეატრში სასიარულოდ ვისღა სცალია, ოთხ ადგილას ვმსახურობ, ჩემი სპეციალობის ხალხი ძლიერ ცოტაა და პირდაპირ ყელამდე ვარ საქმეებში ჩაფლული. თუ თავისუფალი დრო ვიშოვნე მეგობრებში ერთ ორ ჭიქა ღვინოს დავლევ, თუ არა დანარჩენი დრო სულ სამსახურის საქმეებს ვუნდები.

— კი მაგრამ, აფრიდონ, როგორც მახსოვს შენ დიდი წინაალმდეგი იყავი შეთავსებით მუშაობის, თუ არ ვცდები, ბოროტმოქმედებადაც კი მიგაჩნდა ის...

— მართალია, მაგრამ რას იზამ კაცი, როცა გავალებენ და მეორეც ძალიან ბევრი ფული მჭირდება, ერთი ჯამაგირი ჩემს ხარჯებს ვერ დააკმაყოფილებს, ორ ოჯახს ვინახავ... შეიძლება შენ ამაშიაც დამძრახო, მაგრამ რა გაეწყობა, ძველ ცოლს გავეყარე და ახალთან ვცხოვრობ. ის ცოლი და შვილები ერთ აგარაკზე მყავს, ჩვენ კიდევ აქ ვართ... ყველაფერს ფული სჭირდება.

მე ვემზადებოდი გამეკიცხა ამხანაგის საქციელი, მაგრამ მოულოდნელად თავს დაგვადგა ორი ახალგაზრდა, ნახევრად ტიტველი ქალი, ერთი ქერა, მეორე შავგვრემანი. აფრიდონმა ქალები გამაცნო:

— ჩემი მეუღლეა! — სთქვა ქერა ქალზე — ესეც მისი დეიდაშვილია, ცურვის რეკორდსმენი, შეგიძლია უშიშრად ეარშიყო, მისი ქმარი დღეს დილით წავიდა თბილისში.

ახალგაზრდა ქალების შემოერთებამ ჩვენი საუბრის თემა შესცვალა.

უიჩიმელი

ზეხათრიანი

კრიტიკოსი:—ერთ კვირას თვალით ვეღარ დავენახვები ცისკარელს.

— ჩხუბი მოგივიდა?

— არა, ერთ ახალგაზრდა პოეტს რითმა დავუწუნე და ცისკარელის ძმის ამხანაგი გამოდგა.

ახალი ანბან თაქება

ტექსტი: მეჯუზასი

ნახ. ბ. ილაევისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც შუშა ვარ, არც ნახშირი,
ცეცხლი მაინც მეკიდება,
ჯამაგირებს სადაც ვილებ
ალიმენტში მექვითება.

ერთი პიესა დავწერე,
ორჯერ ავილე ფულია,
არ გამამხილოთ,—თავიდან
ბოლომდი გაქაფულია.

ირემო მთასა მყვირალო,
რად ჩამოვარდი ბარადა? —
ერთ ღამეს დახრეს ვირთხებმა
ასთუმნიანი კარადა.

ბრმა ქათამს ასე ჰგონია
ყველგან ხორბალი ჰყრიაო,
ერთ ლიტრა წყალში მერძევემ
ჰიქა რძე გაურიაო.

ვერ დაიჭირავს ტაქს-მოტორს
ვერც მოყმე, ვერცა მცხოვანი
ფუჭ ლოდინს წაჩანჩალება
სჯობს ფეხით სახელოვანი.

კილო კარაქი იყიდა
ბაზარზე ჩვენმა ნინიამ,
შინ მიიტანა გაშინჯა,
აღმოჩნდა მარგარინია.

გაუთლელი სჯობს ალმასი
გათლილ ქვას ფირუზიანსა,
ღამით შუქს გვაკლებ, თელასო,
და დღეს გვინათებ მზიანსა.

ზოგ წარმოების დირექტორს
გული აქვს როსტომ გმირისა,
ტვირთი კი ზურგზე ნაკიდი
პატარა ლოკოკინისა.

ლალს შეადარეს აგური,
იგიც წითელი ფერია,
ზოგი ბევრს ლაყბობს სიტყვებით,
ისე კი საქმის მტერია.

დრამატურგობა დავიწყე
ვანათებ, როგორც მთიები,
ტრაგედიებს ვწერ მგონია,
გამომდის კომედიები.

თუ ფეხს არ იცვლი ვაგონო,
ტრანსპორტად არ იხსენები,
ხომ არ გჭირდება ხანდახან
შეგიბათ ლურჯა ცხენები.

მონადირე ვარ, მიცნობდეთ,
მხარს თოფი გადავიკიდე,
წაველ და...ვერის ბაზარში
კურდღლის ბაჭია ვიყიდე.

„ნამეტან ქებით—ამბობენ, —
მგელს შეაჭამეს გოშია“.
ეს სიბრძნე მუდამ ახსოვდეთ
ვინც ჩვენში კრიტიკოსია.

სამსახურის დროს დაითრო
სასადილოში ნინიკა,—
წინ განაჩენი დაუდვეს,
გამოეცვალა მიმიკა.

ყოველი ჩიტი ხეზე ზის
მწყერი მიწაზე გოგდება,
სავაჭროს გამგე დარჩუა
თუ არ გაქაფა,—მოკვდება.

ოც თუმნად დრაფი ვიყიდე,
ჩემს პალტოდ შესაკერავი,
ოცჯერ ოც თუმანს არტელში
„ნაჩაისა“ მთხოვს მკერავი.

ტრაქტორის ნორმა საპალნეს
ვერ აიკიდებს ვირიო,
კომიკურ სეანსს ვუყურებ
და ტრაგიკულად ვტირიო.

შუშის ქარხანავ, ქებულო,
ველარ მიგიხვდი ტაქტიკას,
ერთ ლამფის შუშის საყიდლად
გსურს გაგვაგზავნო აფრიკას.

პასაჟში შეველ, ვიყიდე
სტანდარტი ტანსაცმელია,
იდაყვს არ დასწვდა სახელო,
საყელო ჰქონდა გრძელია.

ფრთები, რომ სხმოდა ბადრიჯანს
დაუძახებდენ მერცხალსო,
ღვინის მაგივრად ბოთლებით
ჰყიდიან ღვინისფერ წყალსო.

ჩვენი მეზობლის თინიკოს
ღია აქვს გულის კარია,
ერთ თვეში გამოიცვალა
ოცდათერთმეტი ქმარია.

როს ჭასცქერ ვაგზლის მოედანს,
ხედი გსპობს „გასახარელი“
ასე გგონია თბილისში,
წინ აგეტუზა ქარელი.

ქიზიყი თეთრად დათოვა,
თოვლმა დახარა ტოტები,
ხუთას მანეთად გაყიდა
სპეკულიანტმა ბოტებო.

ცეცხლში ნაწრთობო აგურო,
ფერით ლალს შეგადარებენ
ისე არ გაგცემს ქარხანა.
სანამ არ „შეაპარებენ“.

ფრანსკურიოზები

ტროლეიბუსში

— ზურგზე ნუ დამაწექი, არ შემიძლიან...

— ვა, მე თუ ცხრა სული, მთელი ოჯახი მაწევს ზურგზე და არაფერს ვამბობ, შენ რა აზიზ-მაზიზი ვინმე გამომიხვედი?! ..

ფრამვაიში

— რაშია საქმე? ჩვენს მხრებზე რომ დასეირნობ, ფუნიკულორი ხომ არ გგონია?

— მოითმინეთ. მე ვასრულებ ორ საქმეს: ვყიდულობ ტრამვაის ბილეთს და ფიზკულტურის ინსტიტუტის გამოცდებისათვის ვემზადები.

გაუგებრობა

ნახ. დონიხა

— საკვირველია, ეს მოქალაქე სულ არ ფიქრობს, რომ ასე დაჯდომით შეწუხება შეიძლება.

— თქვენ რა გაწუხებთ ქალო? ვე მშვენივრად ვგრძნობ თავს.

„გულისხმა"

აზრი საოჯახო კედლის გაზეთის გამოშვების შესახებ ერთხმად იქნა მოწონებული. რედკოლეგია არ აურჩევიათ: გადაწყდა, კოლექტივის თვითეულ წევრს დამოუკიდებლად ეწერა და გაეკრა წერილი კედლის გაზეთის დაფაზე.

გადაწყვეტილების მიღების მეორე დღესვე კედლის გაზეთ „გულისხმაში" გამოვიდა ვინმე მცოდნის სტატია:

„აი რა არის მთავარი!

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახსრების რაციონალურად ხარჯვას. მიუხედავად ამისა, ჩვენი კოლექტივის ზოგიერთ წევრს ეს უკუღმა ესმის და ჩაიგდებს თუ არა ხელში ფულს, ორ დღეში გაფანიავებს. ფაქტებისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება: ამას წინათ ოჯახის დიასახლისმა სანათამ (გვარს არ ვასახელებთ, ყველა მიხვდება), სრულიად გაუმართლებლად გადამყიდველისაგან იყიდა „სტრელკიანი" წინდები, რაშიაც ასი მანეთი მისცა. ეს მაშინ, როდესაც იგივე წინდები უნივერმაღში ღირს 35 მანეთი. მაშასადამე, გადახარჯვა უდრის 65 მანეთს. დროა ავლაგმოთ ასეთი უყაირათობა!

მცოდნე".

წერილს ახლდა კარიკატურა: სანათა გადამყიდველისაგან იძენს წინდებს.

ამ წერილმა, ერთი ალიაქოთი და ისტერიკები გამოიწვია. მეორე დღეს „გულისხმაში" დაიბეჭდა საპასუხო წერილი:

„როცა სხვის თვალში ბეწვს ხედავენ...

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხანაგ „მცოდნეს" (უფრო სწორად „ვაი—მცოდნეს"), რომ საჭიროა მომჭირნეობა. მეტსაც ვიტყვით: აუცილებელია დავზოგოთ უხვი შემოსავალი და ზედმეტი სახსრები შემნახველ სალაროში შევიტანოთ.

მით უმეტეს საკვირველია (რომ არ ვთქვათ — აღმაშფოთებელია) პატივცემული „მცოდნის" უპასუხისმგებლო გამოსვლა „გულისხმის" ფურცლებზე. როცა თვით ეს ჭკუის მასწავლებელი კალმოსანი ვერ იძლევა მომჭირნე კაცის ნიმუშს. მაგალითისათვის არც ჩვენ წავალთ შორს: პატივცემულ „მცოდნეს" კარგად ეხსომებოდა (რომ იგი მეტად მაღალ გრადუსებში არ ყოფილიყო), რომ ამა თვის ათში მან თითქმის ერთი კვირის ხელფასი დახარჯა ერთერთ რესტორან „თბილისში", რის შედეგადაც ოჯახი, დროებით მაინც, მატერიალურად შევიწროვდა.

ჰაი, ჰაი, რომ აღვირი სწორედ ასეთ „მცოდნეებს" სჭირდებათ!.

ნეიტრალი".

კარიკატურა: „მცოდნე" ქეიფობს.

ორიოდე დღე ისე გავიდა, რომ კედლის გაზეთს ახალი სიტყვა არ უთქვამს. მესამე დღეს კი მასში შემდეგი მამხილებელი წერილი გამოქვეყნდა:

„მეტი ყურადღება ცოცხალი მოხუცებისადმი!

დღეს ყველამ კარგად იცის, თუ რაოდენ დიდია ზრუნვა მოხუცებულებზე. მიუხედავად ამისა, ჩვენს კოლექტივში ბოლომდე არ დაჰყავთ ეს საქმე. ავამეტყველოთ ფაქტები: მე და ჩემი ცოლი წელს წყალტუბოში გაგვგზავნეს, მაშინ როდესაც რევმატიზმი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ბებერს და არა მე. ცოცხალი ადამიანისადმი უფრო ახლოს მიდგომით სულ ადვილი იყო გამორკვევა, რომ მე, წარსული წლების მაგალითის მსგავსად, ისევ კისლოვოდსკში უნდა წავსულიყავი. აი, სად არის აღვირი საჭირო!

ორგზის პენსიონერი".

ამას ახლდა კარიკატურა: მოხუცი ქალი ჩოხის კალთაში ჩაფრენია ქმარს.

გაზეთმა არ დააყოვნა საპასუხო წერილის მოთავსება:

„თავი შეიკავეთ"!

დღეს, ყველასათვის ნათელია, თუ რა ადგილი უჭირავს ქალს, და მისადმი ყურადღებას. ვფიქრობთ, ეს უნდა სცოდნოდა პატივცემულ „პენსიონერსაც" და მაშინ იგი თავს შეიკავებდა პრესაში ასეთი გაბედული (რომ არა ვთქვათ—აღვირახსნილი) გამოსვლებისაგან.

დიახ! მოქ. „პენსიონერის" დიპლომატია თეთრი ძაფითაა ნაკერი. ალბათ ყველას ახსოვს, თუ როგორ უწუხებდა იგი გულს მთელს კოლექტივს: „აქა მტკივა, იქ მჩხვლეტს, იქ მგვრემს, იქ მაჟრიალებს, იქ მაზრიალებს...."—აი ხსენებული ავტორის ლექსიკონი (ვამბობ: ისიც სრულებით არა სრული). რა არის ეს, თუ არა ქარების აშკარა გამოსახულება? მაგრამ იგი, თავს არიდებს რა საკუთარ ცოლთან წასვლას, მიილტვის კისლოვოდსკებისაკენ.... რატომ? პასუხი ნათელია: ჟამსა სიბერისასა, მას ნებავს თავისუფლად იკუნტრუშოს... აი, მართლაც სად არის საჭირო მაგარი აღვირი!

მეთვალყურე".

ამ წერილსაც ახლდა სათანადო კარიკატურა: „პენსიონერი" ეტოლიალება მოავარაკე ქალებს, ისინი კი ქოქოლას აყრიან მას.

ეს წერილი, ისევე, როგორც დანარჩენი წერილებიც, ყუმბარასავით გავარდა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

შემდეგი იყო სტატია სათაურით:

„მეტი ყურადღება გეგმების შესრულებას...

„გარღვევანი რომელნიც ჩვენი გეგმების ზოგიერთ დარგშია, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გარღვევა კულტურის ფრონტზე. კოლექტივის ყველა წევრი როდი იჩენს სათანადო აქტივობას. ავამჭერმეტყველოთ ფაქტები: პატივცემული ლოლა დაუსწრებელი ინსტიტუტის კურსს ამთავრებს და თავისუფალი დროის 75 პროცენტს ანდომებს არა იდეოლოგიურად გამართულ სპექტაკლების ნახვას, არამედ ევროპულ ცეკვებს. რა არის ეს, თუ არა გადახრა ზერელეობისკენ? აი მართლაც, სად არის აუცილებელი ლაგამი!

ჩაჩქანოსანი.

ამ წერილის ილუსტრაცია იყო: ლოლა თავდავიწყებით ცეკვავს ტანგოს და ოფლი წურწურით ჩამოსდის.

მცირეოდენი ისტერიკის შემდეგ ლოლამ შემდეგი წერილი გამოაცხო:

„ჩვენც გვისმინეთ..."

დღეს ყველამ იცის (გარდა ფილოსოფოს „ჩაჩქანოსნისა"), თუ რაოდენ როლს ასრულებს ფიზკულტურა. ისიც ვიცით, რომ ცეკვა კერძოდ ევროპული, ფიზკულტურისა და სპორტის ერთერთი სახეა. ფილოსოფოს „ჩაჩქანოსანს" ეს გამორჩა მხედველობიდან, რაც უნდა მიეწეროს მის გულმავიწყობას (რომ არა ვთქვათ—დილეტანტურ ჩამორჩენილობასა და კარჩაკეტილობას).

დიახაც, აქ საჭიროა აღვირი, როგორც ჰაერი.

უჩაჩქანო".

წერილს ახლდა კარიკატურა: ჩაჩქანოსანს გაუკეთებია ოთხი სათვალე, ყელამდე ჩაფლულა სათეატრო ლიტერატურაში და ჰამლეტები და მეფე ლირები ელანდება.

ღამით დიდხანს არ დასძინებიათ. შუაღამისას „მცოდნე" ადგა და „ნეიტრალის" წერილი და კარიკატურა ჩამოხსნა კედლის გაზეთიდან. ამის შემდეგ მას ტკბილად ჩაეძინა. ერთი საათის შემდეგ „ნემსი" მივიდა გაზეთთან და „უფოლაქოს" ნაშრომი ჩამოიღო. მანაც დაიძინა. შემდეგ „პენსიონერი" უდიდესი სიფრთხილით მიეპარა გაზეთს და „მეთვალყურის" წერილი ჩამოიღო .„მეთვალყურემ" სამაგიერო გადაუხადა.

დილით კარგ ხასიათზე ადგნენ ყველანი. ოღონდ თვით კედლის გაზეთი „გულისხმა" გამოიყურებოდა საცოდავად. მას შერჩენოდა მხოლოდ წარწერა: „გულისხმა"—საოჯახო კედლის გაზეთი".

მას შემდეგ კოკი კენკიაძის ოჯახს კედლის გაზეთი აღარ გამოუშვია. აღარც იყო საჭირო: მან თავისი როლი შეასრულა და ყველა თავის ადგილზე დააყენა.

ალ. მაღულარია.

ჩ/ს. ბორ. ეუიმოვისა



— ჯენტლმენებო, სად არის აქ მახლობელი თავშესაფარი?!

ჩემი ბრალია?!

ალბად დაბადებიდანვე დამყვა ორი მეტად სამწუხარო ნაკლი, რომლის წყალობით ლამის პესიმისტი გავხდე. პირველი ნაკლი ის არის, რომ არ იქნა და ვერ მივეჩვიე თამბაქოს წევას: როგორც კი შევეცდები გავაბოლო, მაშინვე ამიტყდება საშინელი ხველა, ცხვირის ცემინება, თავის ტკივილი... თუ მაინც და მაინც თავს ძალა დავატანე და მოვსწოვე, იგივე თავი იმ დღეს არაფრის ხასიათზე აღარ იქნება.

მრავალი საყვედური და ზოგჯერ ჩხუბიც შემხვედრია ამ ნაკლის გამო ჩემს ნაცნობ-მეგობრებთან.

— ერთი პაპიროსი მომაწევინე — მეტყვის შემხვედრი ნაცნობი.

— ხომ იცი არ ვეწევი.

— შენც კაცი ხარ რაღა! — მისაყვედურებს ნაცნობი, — ვაი შენს პატრონს.

— არ ვეწევი ძმაო და რა ვქნა!...

— ნაპოლეონი და ჟოზეფ ფუშე თუ ეწეოდა, შენ ვიღასი ტიკი ტომარა ხარ ვითომ!

— ვერ მივეჩვიე ეს ოხერი, — დამნაშავესავით ვამბობ, მე, — მაშინვე თავი ამტკივდება.

— სად გაქვს თავი შე საწყალო... ხი, ხი, ხი! მართლა, გეხუმრეი, არ გეწყინოს. — ამ სიტყვებით გამომემშვიდობება ნაცნობი და დარწმუნებული ვარ გულში მაგინებს.

— ქალაჩუნა ხართ, — მეუბნებიან ქალები, — ახ, ბოდიში, გეხუმრეთ. კარგია როცა მამაკაცი ეწევა.

* * *

მაგრამ მე შედარებით ადვილად ვუძლებ პაპიროსის მწეველთა მიერ მოყენებულ ჭრილობებს, რადგან ბოლოს და ბოლოს ძალად ხომ არ მომაწევინებენ.

სულ სხვაა ის მეორე ნაკლი, რომელიც მე დამყვა დაბადებიდანვე. ეს ნაკლი მდგომარეობს მასში, რომ მე ღვინოსაც ვერ ვსვამ. არ შემიძლია, არა და არა. ხოლო თუ თავს ძალას დავატან და შევსვამ — მაშინვე ამიტყდება გულის აღრევა, თავის ტკივილი, მუხლების ცახცახი... თქვენ წარმოიდგინეთ, ღვინის ნაქები სურნელებაც კი ტანში უსიამოვნოდ მაჟრჟოლებს.

რა ვქნა, ასეთი ვარ.

ამის გამო დიდად ვიტანჯები. ბუნებით საზოგადოებრივს — მიყვარს გართობა, სიცილი, სიმღერა... სხვებმა სვან, რამდენიც სურთ. მე შემიძლია გავერთო მუსიკით. მხიბლავს გიტარაზე დამღერება. ამიტომ უარს არ ვეუბნები არავის, ვინც დამპატიჟებს.

— ყმაწვილო, — მომმართავს მე თამადა, ან ვინმე სხვა, — რა წითელი კოჭი ბრძანდებით რომ არ სვამთ... ხელი მოჰკიდეთ ამ ყანწს, გირჩევთ!

— გარწმუნებთ, მე საერთოდ არა ვსვამ. ექიმისაგან აკრძალული მაქვს... ამავე დროს...

— აბა, ჩვენ ვირები ვყოფილვართ!

— ჩვენ თქვენი სადღეგრძელო შევსვით,—სწყრება ერთი,— პატივი გეცით, თქვენ კი უპატივცემულობას იჩენთ. დალიეთ გირჩევთ.

თავს ძალას ვატან, ძარღვებს ვჭიმავ, თვალებს ვხუჭავ და ვსვამ. ჩემს გამბედაობას დიდის აღტაცებით ხვდებიან.

— აფერუმ, ბრავო მე და ჩემმა ღმერთმა... მოდი ამოგიკოცნო ტუჩები...

— მე ყოველთვის ვფიქრობდი, — ამბობს გულაჩუყებული მასპინძელი, — რომ თქვენ პატივს სცემდით ჩემს ოჯახს. თქვენ ეს დაამტკიცეთ სწორედ მაგ ყანწის გამოცლით. გაამოს, გაამოს!

სრულებითაც არ მახალისებს ეს წაქეზება. ჩემს გულში უსიამოვნოდ ვიღრიჯები. ღვინის სუნი ცხვირში ამომდის, მაჟრჟოლებს.

ღმერთო, ვფიქრობ, ამ ერთი ყანწით გადამარჩინე. მეტს ვერ დავლევ.

მაგრამ აი, თამადამ წარმოსთქვა მასპინძლის უფროსი ქალიშვილის სადღეგრძელო.

ტვინში დამცეცხლა. რომ არ დავლიო, ეჭვი არ არის, მასპინძლის კეკლუცი ქალიშვილი თავს შეურაცყოფილად იგრძნობს, ეწყინება.

— ვუსურვოთ კარგი ბედიღბალი, — იმეორებენ სადღეგრძელოს სტუმრები, — კარგი ქმარი, კარგი ოჯახი!..

— მეც ვუსურვებ, — ვკნავი მე საცოდავად, — იცოცხლეთ ქალიშვილო!

ჭიქა ავსწოვე და ვაპირებ ისევ დავდგა, მაგრამ აქეთ-იქიდან კოხტივით მომაყარეს:

— აპა, პა, პა! დაულევლობა არ იქნება.

— ჭიქა არ დადგათ!

მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ვვარდები.

— ყმაწვილებო, ძვირფასო მეგობრებო, იწამეთ ღმერთი. მე რომ ეს დავლიო, გული შემიწუხდება, დავეცემი და ვერავითარ მხიარულებას ვეღარ შევსძლებ! — ამ სიტყვებზე თვალს ვაპარებ მასპინძლის კეკლუცი ქალიშვილისაკენ, თითქოს ვევედრები — თქვენ მაინც შემიბრალეთ, ნუ დამალევინებთ ჩაის ჭიქით—მეთქი. თავის მხრივ ქალიშვილიც ისეთი თვალით მიცქერის, თითქოს მევედრება: ნუ თუ იმდენ პატივს არა მცემთ, რომ ეს ერთი ჭიქა ღვინო გამოსცალოთო.

დავხუჭე თვალები. ყლუნწ! ღვინო ტვინშია. ყურები მიწივის.

— იფ, შენ გენაცვალე მაგ ყანყრატოში! ბრავო.

შევხედე კეკლუც ქალიშვილს, სახე უბრწყინავს, მასპინძელი გულაჩუყებულია, ტაშს მიკრავენ.

— მეტს აღარ დავლევ, ტყუილად ნუ შეიწუხებთ თავს! — სასოწარკვეთით მივახალე მე სიტყვა თამადას, რომელმაც ის იყო ყანწი გამომიწოდა.

— არა, ნუ დალევთ, ტყუილად მოჰკიდეთ ხელი. — ამბობს თამადა.

შევსცდი და ყანწი ჩამრვართვი. სადღეგრძელოს მხარი დავუჭირე და მინდა სავსე ყანწი უკანვე დავაბრუნო, მაგრამ თამადამ შორს დაიჭირა.

— ეგ ყანწი თქვენ გეკუთვნით ყმაწვილო! — იცინის იგი.

მინდა მივაყუდო სადმე სავსე ყანწი, მაგრამ ეს არ ხერხდება.

— ეგ არის თაღლითობა, — მივმართავ მე მასპინძელს, — თქვენ აქ მომიწვიეთ ალბათ იმისათვის, რომ დამახრჩოთ, მომწამლოთ. ამას უწოდებთ თქვენ სტუმრის პატივისცემას?!

მასპინძელი ფეხზე წამოდგა.

— ძვირფასო მეგობარო, გენო, — გრძნობით ამბობს იგი,— ერწმუნეთ ჩემს ჭაღარას, რომ ჩემი ოჯახი თქვენ დიდ პატივს გცემთ და სწორედ პატივისცემის მიზნითაა, რომ ამ საუკეთესო ღვინოს გაძალებთ. თუ გწამთ მეგობრობა, თუ გიყვართ ჩემი ოჯახი მაშინ დალევთ, ხოლო თუ არ დალევთ, მაშინ სჯობს წიხლი დამკრათ.

იმ წუთში გადავსწყვიტე დამელია ეს ყანწი და დაუყოვნებლივ მიმეტოვებინა ეს სატანჯველი სუფრა.

მოვიყუდე პირზე ყანწი. აქეთ-იქიდან მახალისებენ:

— მიდი, მიდი ჰო, ასწი, ასწი... ბრავო, ბრავო.

დავსცალე ყანწი და ვატყობ, რომ მე გენო აღარ ვარ. მე ვიღაც თავხედი ვარ. ვიღაც გალეშილი მოქალაქე, რომელსაც ყურები უწივის და ტვინი უსტვენს. მე მივდივარ კეთილ მასპინძელთან და ვკოცნი ტუჩებში. მე ყველას ვკოცნი. აი მივდივარ მასპინძლის კეკლუც ქალიშვილთან და მსურს გადავეხვიო, გადავკოცნო. ქალი დაუყოვნებლივ მცილდება. ყველანი დამცინიან. გამოვდივარ ქუჩაში, როგორც უგონო ცხოველი.

* * *

მეორე დღეს გვიან მეღვიძება. ვხედავ, თავზე სველი ტილო მადევს. ექიმს ჩემი მაჯა უჭირავს ხელში და ითვლის.

— არ გეკადრებათ ყმაწვილო ასე ლოთობა, კინაღამ გარდაიცვალეთ! — ამბობს ექიმი.

მე წყევლა-კრულვას ვუთვლი ჩემს სუსტ ხასიათს, ჩემს მტარვალ მასპინძელს, მის კეკლუც ქალიშვილს, თამადას და ყველას, ვინც ფიქრობს რომ ღვინოში დახრჩობა წარმოადგენს ადამიანის პატივისცემას.

გენო ლიაძე

ჩახოხბილი
სამტრედიელის ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარიკმახერთან

— ტკივილს ხომ არ გრძნობთ?
— თქვენი სამართებლის სიბლაგვემ ტკივილის გრძნობაც კი დამაკარგვინა.

ეღვა

პროტესტი

გურჯაანი — გურჯაანელ ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა პროტესტით მიმართოს რკინიგზის სამმართველოს იმის გამო, რომ მოძრაობის გრაფიკის მიხედვით ზოგიერთი სამგზავრო მატარებელი გურჯაანის სადგურზე პაემანისთვის სრულიად შეუფერებელ დროს მოდის. **წუწკი**

იშვიათი შემთხვევა

ხაშური. ადგილობრივ საკოლმეურნეო ბაზარში წვიმის შემდეგ დაგუბებულ ტბაზე ცურვის დროს დაიხრჩო ორი კვატი(იხვები) და ერთი ბუღა კამეჩი. ამ მოვლენის გამო სამტრედიელი იხვები გაკვირვებულნი არიან და აცხადებენ: ჩვენც კი გვაძლევს ქალაქის საბჭო ქუჩებში და ბაზრის მოედანზე დამდგარ ტბებზე ცურვის საშუალებას, მაგრამ ხაშურელ კვატებივით მაინც არ ვიხრჩობითო.

არქიპო.

ცილისწამება.

თელავი. აქაურ მელინეიკეებში გულის შემზარავი ხმები გავრცელდა, თითქოს თელავის ქალაქის საბჭო, კულტურულ საბჭოთა ქალაქების მიბაძვით, რკინიგზის სადგურიდან ქალაქში მგზავრთა გადასაყვანად ავტობუსის შეძენას აპირებსო. ამის საპასუხოდ ქალაქის საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე დაადგინა უსასტიკესი ზომები მიიღოს იმ პიროვნებათა წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ უსაფუძვლო ჭორებს ავრცელებენ. **ბიკენტი.**

ვინ არ იცნობს კუტალაძეს,
სამტრედიელ წმინდანს,
კოვერკოტის ხალათს იცვამს,
აბრეშუმის წინდას.

სასადილო-ბუფეტების
გახლავთ დირექტორი,
უზიანოდ არ გაუშვა,
რასაც დაჰკრა ტორი.

ძმა-ბიჭებს და ლოთი-ფოთებს
გარშემო იკრეფდა,
ქეიფით და დროსტარებით
„უკვდავ" ძეგლს იგებდა.

გაზეთშიაც გააჭრელეს,
ახლა ბრაზით სკდება,
მაინც არ სჭრის: წაუკითხე
მგელსა სახარება!

კორესპონდენტს ემუქრება:
ვინ შემკადრა ესაო?
ქვესკნელს გავთხრი და მოვნახავ
მჯლაბნელს, მოლაყბესაო.

პ. ონტოფელი.

ჩვენი რადიო

მალაკანების ქუჩის თავში
რადიო დგას ბაზრის წინა.
აღარაფერს ლაპარაკობს,
ჩვენც ამიტომ მოგვეწყინა.

დრო იყო, რომ მის გარშემო
თავს ვიყრიდით, გვქონდა კრება,
მთელი ქვეყნის ახალ ამბებს
ჩვენ ვისმენდით ნება-ნება.

დღეს ტყუილად შესცქერიან
და იშვერენ მისკენ ხელებს.
აღარ ატკბობს იმისი ხმა
გამჭვლელსა და გამომვლელებს.

მიხეილ

საზამთრო რეკლიკები

შენ გენაცვალე ჩემო თბილისო,
ზამთარშიც ზაფხულს გავხარ ბუნებით,-
შეშა რათ მინდა, როს ტრამვაიში
გვერდებს მითბობენ მუჯლუგუნები?

ჩვენს სახლს მასალა ბევრი უწყვია,
გაჯი, ფიცრები და ტუფი ჭრელი;
რემონტი მაინც არ დაუწყია,
სახლმმართველობა გაზაფხულს ელის.

ვეძებ მე ჩემი ზომის ფეხსაცმელს,
ვეძებ და მისთვის ვერ ვარ ჩაცმული,
ამ ლუქსებში კი სადაც მივედი,
ყველგან სტანდარტი არის დაცული.

შოთას ვუყიდე ველოსიპედი,
რისთვისაც ზორბა თანხა დავხარჯე,
პირველ დღეს წინა ბორბალი მოძვრა
მეორე დღეს კი—ჯაჭვი და საჭე.

ძნელოღლი.

ს წ ო რ ი ა ლ ღ ო

ნაბ. თოიძისა



— შესდექ! აქ ყუთში არ ჩააგდო, თორემ სამ თვეს არ ელირსება ყუთიდან ამოღება.
— მოშლილია?
— არა, ამ უბანში წერილებისაგან ყუთების გამწმენდათ ჩვენი ყოფილი მეეზოვე დანიშნეს.

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

მუშტარს—(სოფ. აბედათი, გეგეჭკორის რაიონი).
გვეკითხებით:

გთხოვთ, ნიანგო, გვიპასუხოთ
რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო,
ნოქრად რომ გვყავს ესიავა,
სასამართლოს თუ მივცეთო?

ამ შეკითხვის გამო, დავალება მივეცით ჩვენს ადგილობრივ რწმუნებულს, რომელმაც გამოარკვია საფუძვლიანობა თქვენს მიერ წამოყენებულ ბრალდებისა მოქ. ესიავას მიმართ.

მოქ. ესიავა, თურმე სავაჭრო დუქანს დღისით კეტავს და ღამით კი (უკეთ რომ ითქვას,—შუაღამიდან) იწყებს ვაჭრობას. თქვენ ამ მდგომარეობას ვერ შერიგებიხართ და არც იცით მიზანშეწონილი იქნება მისი პასუხისგებაში მიცემა თუ არა.

როცა გვძინავს, მაშინ ვაჭრობს,
დღისით კეტავს იგი დუქანს,
გთხოვთ ნიანგო ამის გამო
შესაფერის თქვენგან „უკაზს“.

გიპასუხებთ:

ჩვენი „უკაზი“ იქნება მას შემდეგ, როცა მივიღებთ დამატებით ცნობებს ჩვენი რწმუნებულისაგან. გვინდა ვიცოდეთ, თუ თქვენ, ესე იგი სოფ. აბედათის მომხმარებლებს გძინავთ მაშინ, როცა მოქ. ესიავა იწყებს ვაჭრობას, ვისზე უნდა გაყიდოს მან საქონელი. შეიძლება არიან თქვენს სოფელში ისეთი „მომხმარებლებიც“, რომლებსაც დღისით სძინავთ და ღამით კი „მუშაობენ“.

ამ საქმის გამორკვევას ვანდობთ ჩვენს რწმუნებულს და ადგილობრივ პროკურატურას.

ბ. მ—ი. (ჩოხატაური).

მოზიარე ვართ თქვენი მწუხარებისა იმის გამო, რომ ადგილობრივ რადიოგადაცემის დროს, თქვენ „სიცხე აგვარდნიათ თავში“.

ვიღაც ქალი „ჩელას“ მღერის
და ტკბილ ჰანგზე ჩონგურს უკრავს,—
სწორედ ამ დროს ხმა მოისმის
„გერმანია ინგლისს ურტყამს“.—
ტკბილ ჰანგს შეცვლის ბრახა-ბრუხი,
ვიღაც კივის, ვიღაც ბღავის...
შემდეგ ისმის კრიმანჭული,—
და მაშინვე ვიღაც კნავის.

გვეკითხებით, ეწოდება თუ არა ყოველივე ამას რადიოდომხალი?
გიპასუხებთ: დიახ! ეწოდება

რედაქციისაგან დამოუკიდებელ ტექნიკური მიზეზების გამო „ნიანგის“ ეს ნომერი გამოდის დაგვიანებით.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5. ტელ. 8-74-67

გადაეცა წარმოებას 1941 წ. 18/I ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 8/II გამ-ბა „ზარია ვოსტოკას“ ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა, ქ. თბილისი

შეკვეთა № 261 УЕ11244 ტირაჟი 15000

წინდახედული გაფრთხილება

„... რუზველტმა თავის მიმართვაში აღნიშნა, რომ ამერიკა ჯერ-ჯერობით ვერავის წაქეზებს მშვიდობიანობაზე მსჯელობისათვის“.

ნახ. ბ. ილაევისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა აზრისა ბრძანდებით ომის შესახებ?
— ჩემის აზრით, სასურველია მშვიდობიანობა არსებობდეს ყველგან.
— ფრთხილად ხერ ხომ შეხაძლოა თქვენი აზრი სხვებმაც გაიგონ?!.